კვლევებში, რაც ნეონატიციდთან დაკავშირებით ჩატარებულა, ყველაზე ერთი რამაა აღნიშნული, რომ ძირითად შემთხვევაში, ქალს არ აქვს ფსიქოზი და ბავშვის თავიდან მოცილება ხდება როგორც რაღაც „არასასურველის“, რაღაც „უცხო სხეულის“, რომელსაც ჩასახვისთანა-

689-690; Friedman, S., Cavney, J., & Resnick, P. J., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 586.

17 Brennan, K. (2018). Social norms and the law in responding to infanticide. *Legal Studies. The Journal of the Society of Legal Scholars.*, 38(3), 482.

18 Kaplan, D. S., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 509; Macfarlane, J. E. (1998). Neonaticide and the Ethos of Maternity: Traditional Criminal Law Defenses and the Novel Syndrome. *Cardozo Women's Law Journal*, vol. 5, 196; Hogan, M. C., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 261; Krüger, P. (2015). Prevalence and Phenomenology of Neonaticide in Switzerland 1980–2010: A Retrospective Study, *Violence and Victims*, vol. 30, 195.

19 Resnick, P., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 1416, 1419; Porter, T. & Gavin, H., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 101. ანალიზისთვის იხ. Spain, J. (2013). Changing the narrative of neonaticide. *Indiana Journal of Law and Social Equality*, 2(1), 168-169; Macfarlane, J. E., მითითებული სტატია, მე-18 სქოლ., 196. ფინანსური პრობლემების ფაქტორი თანამედროვე პერიოდში არ დადასტურდა ბევრ იმ ქვეყანაში სადაც ცხოვრების დონე მაღალია. იხ. Amon, S., Putkonen, H., Weizmann-Henelius, G., Almiron, M. P., Formann, A. K., Voracek, M., Eronen M., Yourstone, J., Friedrich, M., Klier, C. M. (2012). Potential predictors in neonaticide: the impact of the circumstances of pregnancy, *Archives of Women's Mental Health*, vol. 15, 171.

20 Klier, C. M., Amon, S., Putkonen, H., Fernandez Arias, P., & Weizmann-Henelius, G. (2019). Repeated neonaticide: differences and similarities to single neonaticide events, *Archives of Women's Mental Health*, vol. 22, 161; Macfarlane, J. E., მითითებული სტატია, მე-18 სქოლ., 200. მსგავსი ფსიქო-სოციალური დახასიათება აქვს ახალშობილის მკვლელობისთვის მსჯავრდებულ ქალებს საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა ჩაატარა 2011 წელს. Amirejibi, T. (2011). Mothers Who Kill. Psychosocial Profile of Filicidal and Neonaticidal Mothers in Georgia. *Anti-Violence Network of Georgia*, 2-27. სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან დაკავშირებით განსხვავებული პროცენტული მონაცემებისთვის იხ. Beyer, K., Mack, S. & Shelton, J., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 525, 528.

21 Amon, S., Putkonen, H., Weizmann-Henelius, G., Almiron, M. P., Formann, A. K., Voracek, M., Eronen M., Yourstone, J., Friedrich, M., Klier, C. M. მითითებული კვლევა, მე-19 სქოლ., 169; Klier, C. M., Amon, S., Putkonen, H., Fernandez Arias, P. & Weizmann-Henelius, G. მითითებული კვლევა, მე-20 სქოლ., 162. Krüger, P. მითითებული სტატია, მე-18 სქოლ., 202; Amirejibi, T., მითითებული კვლევა, მე-20 სქოლ., 5, 9; Slate, A. მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 192.

22 Resnick, P., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 1419. თანამედროვე პერიოდში არც ეს ფაქტორი დასტურდება სოციალურად და ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში. იხ. Amon, S., Putkonen, H., Weizmann-Henelius, G., Almiron, M. P., Formann, A. K., Voracek, M., Eronen M., Yourstone, J., Friedrich, M., Klier, C. M. მითითებული კვლევა, მე-19 სქოლ., 171.

23 Beyer, K., Mack, S. & Shelton, J., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 523; Marks, M. M., & Kumar, R. R. (1993). Infanticide in England and Wales. *Medicine, Science and the Law*, 33(4), 334.

24 Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 420; Wu, M. W. C. (2003). Culture is no Defense for Infanticide. *American University Journal of Gender Social Policy and Law*, vol 11(2), 1005-1006; Slate, A. მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 201.

25 Resnick, P., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 1970, 1415; Friedman, S., Cavney, J., & Resnick, P. J., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 589.

26 Resnick, P., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 1415, 1418; Friedman, S., Cavney, J., & Resnick, P. J., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 589.

27 Porter, T. & Gavin, H., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 108.

28 Amirejibi, T. მითითებული კვლევა, მე-20 სქოლ.

ვე როგორც პრობლემას, ისე აღიქვამს.²⁹ სხვადასხვა ქვეყნის კვლევებში ჩართულ ქალებს, რომელთაც ნეონატიციდი ჩაიდინეს, ერთმანეთის მსგავსი ფსიქოპორტრეტი აქვთ. ძალიან მცირე შემთხვევაში, როცა ბავშვის მამამ ჩაიდინა ნეონატიციდი, მისი ფსიქოპორტრეტიც დედების მსგავსი იყო.³⁰

ასევე გამოითქვა აზრი „ნეონატიციდის სინდრომის“ შესახებ, რომ ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდა ქალები უარყოფენ ორსულობას, ხოლო როდესაც რეალობის პირისპირ აღმოჩნდებიან, პანიკაში ვარდებიან და ჩაიდან მკვლელობას, თუმცა ეს მოსაზრება სხვა კვლევებით ვერ დადასტურდა.³¹

ნეონატიციდის პრევენციისთვის ბევრ ქვეყანაში „ბავშვის ყუთები“ გაჩნდა, რაც ანონიმურად ბავშვის ჩაბარების შესაძლებლობას იძლევა.³² ეს პროგრამა მრავალგზის გაკრიტიკდა ბიოლოგიური იდენტობაზე ბავშვის უფლების პერსპექტივიდან გამომდინარე, მაგრამ მისი მომხრეები ბავშვის სიცოცხლის უფლებით ცდილობენ ხსენებული არგუმენტის გადაძლევას.³³ თუმცა არ არსებობს ცალსახა კვლევები, რომლებიც დადასტურებდნენ ნეონატიციდის შემცირებასა და ამ პროგრამის გაჩენას შორის კავშირს. ასეთი გამოცდილება დაფიქრებად მაინც ღირს, მითუმეტეს რომ რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა გამოკვეთა ეს კავშირები მსგავსი პროგრამების გაჩენასა და ნეონატიციდის შემცი-

რებას შორის.³⁴ ნეონატიციდის შემცირებაზე გავლენას ახდენს ქალის სოციალურად და ეკონომიკურად გაძლიერება, მის ირგვლილ არსებული სტერეოტიპების დამსხვრევა და საზოგადოების განათლება. როგორც სწორადაა აღნიშნული არაერთ კვლევაში, ქალს (გოგობს) აკლია სოციალური მხარდაჭერა.³⁵ სწორედ ამიტომაც, რომ 21-ე საუკუნეში ნეონატიციდი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც ხდება, სადაც ჯანდაცვის სერვისები და სხვადასხვა ინსტიტუტები განვითარებულია, მაგრამ სტატისტიკა გაცილებით დაბალია, ვიდრე გასულ საუკუნეში და მანამდე. ამასთან, თუკი 70-იან წლებში ნეონატიციდის უმთავრეს მოტივად სოციალური სტიგმა სახელდება, რომელიც ქალს ემუქრებოდა ქორწინების გარეშე მშობიარობის შემთხვევაში, დღეს თითქმის აღარ მოქმედებს დემოკრატიულ ქვეყნებში.³⁶ ამიტომაც, დღეს ამ ფორმით დასჯის გამართლება აღარაა მხარდაჭერილი.³⁷

29 Resnick, P., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 1415; D'Orbán, P. (1979). Women who Kill their Children. *British Journal of Psychiatry*, 134(6), 570; Beyer, K., Mack, S. & Shelton, J., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 332; Friedman, S., Cavney, J., & Resnick, P. J., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 588; Macfarlane, J. E., მითითებული სტატია, მე-18 სქოლ., 196-197; Hogan, M. C., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 262; Martinkiene, V., & Dervinyte – Bongarzone, A. (2015). Is Psychiatric Illness Leading Reason of Neonaticide in Lithuania? *European Psychiatry*, 30(S1), 1-1; Amon, S., Putkonen, H., Weizmann-Henelius, G., Almiron, M. P., Formann, A. K., Voracek, M., Eronen M., Yourstone, J., Friedrich, M., Klier, C. M. მითითებული კვლევა, მე-19 სქოლ., 170; Chandra, P. S., Herrman, J.F., Riecher-Rössler, A. (eds), *Mental Health and Illness of Women*. (2020). Geneva, Switzerland: Springer, 335.

30 ib. Resnick, P., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 1417.

31 Beyer, K., Mack, S. & Shelton, J., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 530; Kaplan, D. S., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 454-456.

32 Amirejibi, T., მითითებული კვლევა, მე-20 სქოლ., 19.

33 Ramesh, R. (2012). Spread of 'baby boxes' in Europe alarms United Nations. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: shorturl.at/opzV2 ნანახია 26.02.2021

34 Klier, CM, Grylli, C, Amon, S, Fiala, C, Weizmann-Henelius, G, Pruitt, SL, & Putkonen, H. (2013). Is the introduction of anonymous delivery associated with a reduction of high neonaticide rates in Austria? A retrospective study. *BJOG. An International Journal of Obstetrics and Gynaecology*, vol. 120 (8), 1028-1029; Krüger, P. მითითებული სტატია, მე-18 სქოლ., 204. იმ კვლევის შედეგებისთვის რომელიც ლიეტუვაში, საფრანგეთსა და ავსტრიაში ბავშვის ყუთებისა და ანონიმურად მშობიარობის შესაძლებლობის გაჩენასა და ნეონატიციდის სტატისტიკის შემცირებას აკავშირებს იხ. Martinkienė, V., Dembinskas, A., & Germanavičius, A. (2015). Analysis of the 1994-2014 data of Expert Studies on Women Who Committed Neonaticide Conducted by the National Service of Forensic Psychiatry in Lithuania under the Ministry of Health, *Health science in Eastern Europe*, vol. 25(5), 9-10.

35 Krüger, P. მითითებული სტატია, მე-18 სქოლ., 204.

36 მაგალითად, 2015 წლის კვლევა, რომელიც შვეიცარიაში ჩატარდა. გამოკითხული ვოგონების უმეტესობას, რომელთაც ნეონატიციდი ჩაიდინეს, სოციალური სტიგმის შიში არ ჰქონიათ. სტიგმის შიში მხოლოდ ეთნიკურად კოსოვოელებს ჰქონდათ, რომლებიც მკაცრ რელიგიურ ოჯახებში იზრდებოდნენ. კვლევა იხ. Krüger, P. მითითებული სტატია, მე-18 სქოლ., 201. ნეონატიციდის სტატისტიკის ვარდნაზე რომ ცხოვრების დონის გაზრდა, ქალების გაძლიერება, სექსუალური განათლება, აბორტის უფლება და სხვა უფლებების პრაქტიკული რეალიზება ახდენს გავლენას, ანალიზისთვის იხ. Klier, CM, Grylli, C, Amon, S, Fiala, C, Weizmann-Henelius, G, Pruitt, SL, & Putkonen, H., მითითებული კვლევა, 34-ე სქოლ., 1028. ანალიზისთვის რომ ნეონატიციდი ეკონომიკურად ძლიერ და სოციალურად განვითარებულ ქვეყნებშიც ხდება იხ. Tanaka, C. T., Berger, W., Valença, A. M., Coutinho, E. S. F., & others. (2017). The worldwide incidence of neonaticide: a systematic review, *Archives of Women's Mental Health*, vol. 20, 249.

37 Slate, A. მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 190.

ნეონატიციდის კანონმდებლობის შექმნის ისტორია

კვლევების შედეგების შედარება ცხადყოფს, რომ ნეონატიციდის სპეციალური ნორმის მიღებას სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთის მსგავსი კონტექსტი ჰქონდა. მაგალითად, კანადაში, სადაც დღესაც 1948 წელს მიღებული კანონი განსაზღვრავს ინფანტიციდს (მუხ. 233)³⁸, ამ მოვლენას ისეთივე ისტორიული ფონი გასდევდა, როგორც ინგლისის 1938 წლის³⁹ და ირლანდიის 1949 წლის ინფანტიციდის აქტის მიღებას.⁴⁰ სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, რაშიც ქალს დღესაც უწევს ცხოვრება, იმ პერიოდში ეს კიდევ უფრო აშკარა და დაუძლეველი რამ იყო. რბილი კანონების მიღებამდე სასტიკი ნორმები მოქმედებდა ნეონატიციდის გამოძიებასთან დაკავშირებით. ახალშობილის მკვლელობის გამოძიება რთული იყო, ამიტომ მის მიმართ მკვლელობის სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული, დაბალი სტანდარტი გამოიყენებოდა. მტკიცების ტვირთი, რომ ჩვილი მკვდარი დაიბადა, ეკისრებოდა ბრალდებულს და არა პროკურორს.⁴¹ ბრალდებულს უნდა მოეყვანა ერთი მოწმე მაინც, რომელიც ჩვილის მკვდრად დაბადებას დაადასტურებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვლელობისთვის დაისჯებოდა.⁴² ამდენად, მოქმედებდა არა უდანაშაულობის, არამედ ბრალეულობის პრეზუმფცია. მკაცრი მიდგომა 1700 წლამდე გაგრძელდა, ნელ-ნელა პრაქტიკა შეიცვალა ნაფიცი მსაჯულების დახმარებით.⁴³ ხოლო 1803 წელს მტკიცებულებითი სტანდარტი და უდანაშაულობის პრეზუმფცია ნეონატიციდზეც გავრცელდა.⁴⁴ სირთულეებს, რომლებიც გამოძიებასა და მტკიცების საკითხებს ახლდა,⁴⁵ საქმის განხილველი პირები ბრალდებულის სასარგებლოდ იყენებდნენ. ინფანტიციდის

საქმის განხილვაში მონაწილე პირები (პროკურორები და მოსამართლეები) ასევე უთანაგრძნობდნენ „მკვლელ დედებს“, თუმცა იქვე ძალიან სწორ ანალიზს აკეთებს ბრენანი, რომ „თანაგრძნობა“ კონფორმისტული იყო თავისი ბუნებით, რადგან სახელმწიფო ორგანოები, ნაცვლად იმისა, რომ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები ეკვლიათ და გამოესწორებიან, რბილი მიდგომით პრობლემას ადგილზე ტოვებდნენ⁴⁶ და კიდევ მეტად ამყარებდნენ სტერეოტიპებს ქალის „სიგიჟის“ შესახებ.⁴⁷ ისტორიის ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველაზე დიდი წვლილი „მკვლელი დედისთვის“ სასჯელის შემსუბუქებაში ნაფიცმა მსაჯულებმა შეიტანეს⁴⁸ ნულიფიკაციის პრაქტიკით.⁴⁹ ძველ პერიოდში ქალის სხეული სრულად კონტროლდებოდა სახელმწიფოს მხრიდან, ქალს არც აბორტის უფლება ჰქონდა,⁵⁰ არც კონტრაცეპტივზე მიუწვდებოდა ხელი,⁵¹ მართხელა დედობა და „უკანონო შვილი“ კი დაუძლეველ სირცხვილთან ასოცირდებოდა.⁵² ჩამოთვლილ ქვეყნებში ქალებისთვის, რომლებიც ქორწინების გარეშე ორსულდებოდნენ, მათ შორის, გაუპატიურების გამოც, ბავშვის გაჩენა სოციალურ სტიგმასთან იყო დაკავშირებული, რაც ასევე სამსახურის დაკარგვას და ულუკმაპუროდ დარჩენას ნიშნავდა, ამ სიტუაციაში ქალებს ბავშვის მკვლელობა ერთადერთ გამოსავლად ესახებოდათ.⁵³ ნაფიცი მსაჯულები კი, რომლებიც იმავე საზოგადოების წევრები იყვნენ, თანაუგრძნობდნენ გოგონებს, შემწყნარებლები იყვნენ მათ მიმართ, ვერ სჯიდნენ, რადგან გამამტყუნებელი ვერდიქტი მსჯავრდებუ-

38 Holland, W.H. (2007). Infanticide. In Horder J. (ed) *Homocide Law in Comparative Perspective*, Oxford and Portland, Oregon: Hart Publishing, 128.
39 ინფანტიციდის კანონი ინგლისში 1922 წელს მიიღეს, თუმცა 1938 წელს შეიცვალა და დღესაც ამ შინაარსით მოქმედებს.
40 ინფანტიციდის კრიმინალიზების ისტორიული ანალიზისთვის იხ. Brennan, K. (2013). *Traditions of English Liberal Thought: History of the Enactment of an Infanticide Law in Ireland*. *Irish Jurist*, 50, 100-137.
41 Dvorak, J. J., *მითითებული სტატია*, მე-4 სქოლ., 175.
42 იქვე. ასევე იხ. Scater, S. D. (2011). *Infanticide and Insanity in 19th Century England*, In Herring, J., Richards, M., & Ebtehaj F. (eds). *Birth Rites and Rights*, Oxford, Portland, Oregon: Hart Publishing, 220.
43 Dvorak, J. J., *მითითებული სტატია*, მე-4 სქოლ., 176.
44 იქვე.
45 Scater, S. D., *მითითებული წიგნი*, 42-ე სქოლ., 228.

46 Brennan, K., *მითითებული სტატია*, მე-17 სქოლ., 483.
47 იქვე. 486.
48 იქვე. 483. სხვა მოსაზრების მიხედვით, ინფანტიციდის კანონის მიღება აქტის დროს დედის ფსიქიკური აშლილობის დადგენის სირთულეებით აიხსნება, და სამედიცინო შეფასებათა ბუნდოვანება, რაც პრაქტიკულ სირთულეებს ქმნიდა. იხ. Scater, S. D., *მითითებული წიგნი*, 42-ე სქოლ., 232.
49 ნაფიცი მსაჯულების ნულიფიკაციაზე მეტი ინფორმაციისთვის იხ. ნილ ვიდმანი და ვალერი პ. ჰანსი. (2019). *ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები, ვერდიქტი, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 259-286.
50 Zaretsky, R. S., *მითითებული სტატია*, მე-11 სქოლ., 424; Slate, A. *მითითებული სტატია*, მე-10 სქოლ., 204.
51 Brennan, K., *მითითებული სტატია*, მე-14 სქოლ., 153-154, 164.
52 იქვე. 153-154.
53 Fazio C. A. & Comito, J. L., *მითითებული სტატია*, მე-15 სქოლ., 3129; Scater, S. D., *მითითებული წიგნი*, 42-ე სქოლ., 224.

ლი ქალის სიკვდილს ნიშნავდა.⁵⁴ აღნიშნულის გამო, სახელმწიფო იძულებული გახდა ნორმა შეეცვალა, სასჯელი იმდენად შეემსუბუქებინა, რომ ნაფიც მსაჯულებს დაესაჯათ ახალგაზრდა დედები და ასეც მოხდა ცვლილების შემდეგ (მაგ. კანადაში ინფანტიციდისთვის მაქსიმალური სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა გახდა და პრაქტიკაც შეიცვალა). ასე ჩაეყარა საფუძველი ნეონატიციდი/ინფანტიციდის მედიკალიზებას, ქალის ფსიქიური აშლილობის დაკავშირებას მშობიარობასთან ან ლაქტაციასთან,⁵⁵ რაც, სხვადასხვა შეფასების მიხედვით, ისევ და ისევ პრობლემის მიჩქმალვას, ქალის საჯარო სივრციდან გაქრობასა და დანაშაულის გამომწვევი ნამდვილი მიზეზების კონტექსტიგან იზოლირებულად გადაწყვეტას ნიშნავდა.⁵⁶ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ინფანტიციდის კანონის მიღების პერიოდში, მაშინდელი საზოგადოება ბავშვის სიცოცხლეს ზრდასრულების თანასწორად არ განიხილავდა, ბავშვის დასჯა გამოსწორების მიზნით ქმედების გამამართლებელი გარემოება იყო, ბავშვები მშობლების საკუთრებად განიხილებოდნენ.⁵⁷ ამდენად, მკვლელობის მოტივი და გამომწვევი მიზეზი ძირითადად სოციო-ეკონომიკური ფაქტორი იყო, რომელიც მოვლენის სამედიცინო ახსნით შეიფუთა.⁵⁸ არაერთი მეცნიერის მოსაზრებით, ეს ნორმა თანამედროვე ადამიანის ცნობიერებას არ ირეკლავს, არქაულია და დისკრიმინაციული თავისი ბუნებით.⁵⁹

მსგავსი ისტორიული კონტექსტი ჰქონდა ევროპის სხვა ქვეყნებსაც (მაგ. ავსტრია, გერმანია და შვეიცარია). ამ ქვეყნების კანონმდებ-

ლობით მსუბუქად ისჯებოდა ქალი რომელიც მოკლავდა „უკანონო შვილს“⁶⁰, აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზეზი იყო არა ქალის პოსტნატალური ჯანმრთელობის მდგომარეობა, არამედ აქაც გარემო ფაქტორები, რაშიც ქალს უწევდა ცხოვრება, და რაზეც დიდ გავლენას ახდენდა ქალთან, მის სოციალურ როლთან დაკავშირებით არსებული სტერეოტიპული შეხედულებები და მოლოდინები. მოგვიანებით, ავსტრიამ და შვეიცარიამ შეცვალა კანონი და ახალშობილი დატოვა⁶¹ ნორმის განმსაზღვრელ ობიექტურ ნიშნად და დათქმა „უკანონოდ შობილზე“ ამოიღო,⁶² ხოლო გერმანიამ სრულად გააუქმა ხსენებული პრივილეგირებული ნორმა 1998 წელს.⁶³

ქართულ რეალობაში ნეონატიციდი დამოუკიდებელი საქართველოს სსკ-ით იქნა გათვალისწინებული, იქამდე მოქმედი საბჭოთა კავშირის კოდექსი მსგავს პრივილეგირებულ ნორმას არ იცნობდა.⁶⁴ ნეონატიციდის შემოღება ქართულ კანონმდებლობაში შესაძლოა აიხსნას გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის გავლენით, რითაც ხელმძღვანელობდა სარეფორმო კომისია სსკ-ის პროექტზე მუშაობისას და რამაც საბოლოოდ გავლენა მოახდინა საქართველოს მოქმედი სსკ-ის როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილის ჩამოყალიბებაზე.⁶⁵

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, არაა გაზიარებული ნეონატიციდის სამედიცინო თვალსაზრისით ახსნის კონცეფცია და მას მკაცრად სჯის დღემდე.⁶⁶ თუ დადგინდება

54 Fazio C. A. & Comito, J. L., მითითებული სტატია, მე-15 სქოლ., 3129; Mair, S. (2018). Challenging infanticide: Why section 233 of Canada's criminal code is unconstitutional *Manitoba Law Journal*, 41(3), 243-244.

55 Johnson, K.K. & Watson, W. D. (2006). The Insanities of Reproduction: Medico-legal Knowledge and the Development of Infanticide Law, *Social & Legal Studies*, vol. 15(2), 238; Zedner, L. (1991). Women, Crime, and Penal Responses: A Historical Account. *Crime and Justice*, vol. 14, 308.

56 Johnson, K.K. & Watson, W. D., მითითებული სტატია, 55-ე სქოლ., 238.

57 Mair, S., მითითებული სტატია, 54-ე სქოლ., 265; Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 432; Stasiūnienė, J., Justickis, V., & Jasiulaitis, A., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 95.

58 Holland, W.H., მითითებული წიგნი, 38-ე სქოლ., 130; Zedner, L., მითითებული სტატია, 55-ე სქოლ., 344.

59 Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 418-419, 430; Mair, S., მითითებული სტატია, 54-ე სქოლ., 255. განსხვავებული აზრისთვის იხ. Dvorak, J. J., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 194.

60 Richter, J. S. (1998). Infanticide, Child Abandonment, and Abortion in Imperial Germany. *The Journal of Interdisciplinary History*, Vol. 28(4), 515.

61 Markwalder N. & Killias, M. (2012). Homicide in Switzerland. Liem, M.C.A. & Pridemore, W.A. (eds.), *Handbook of European Homicide Research: Patterns, Explanations, and Country Studies*, New York: Springer-Verlag, 344.

62 Willenbacher, B. (2004). Legal Transfer of French Traditions? German and Austrian Initiatives to Introduce Anonymous Birth. *International Journal of Law, Policy and the Family*, vol. 18, 350.

63 იქვე. 349. ნეონატიციდი უფრო ადრე გაუქმდა საფრანგეთსა (1994 წელი) და ესპანეთში (1995 წელი). ანალიზისთვის იხ. Krüger, P. მითითებული სტატია, მე-18 სქოლ., 196.

64 თუმცა ის გათვალისწინებული იყო 1960 წლის სსკ-ის კანონპროექტში, მაგრამ შემდეგ ძალაში არ შევიდა. ქართულ კანონმდებლობაში ნეონატიციდის მიღების ისტორიული ანალიზისთვის იხ. გამყრელიძე, ო. (2008), სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. (მეორე გამოცემა). თბილისი, 30.

65 ტურავა, მ., მითითებული წიგნი, მე-7 სქოლ., 301.

66 Spinelli, M.G., მითითებული წიგნი, მე-3 სქოლ., 9; Friedman, S., Cavney, J., & Resnick, P. J., მითითებული

ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი გარემოება, მას იყენებენ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ პოსტნატალურ ფსიქიკურ აშლილობასთან დაკავშირებით ბრალის ხარისხის გათვალისწინების კუთხით სამაგალითოდ მხოლოდ ნიუ-იორკის შტატს უთითებენ.⁶⁷ ამიტომაც კრიტიკა აშშ-ის კანონმდებლობის მიმართ ბევრჯერ გამოითქვა მკაცრ სასჯელებთან მიმართებით, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია.⁶⁸

დღეს ქალთა უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა საუკუნეების გამოცდილებებისგან ბევრი ასპექტით, განსაკუთრებით დემოკრატიულ ქვეყნებში. საჭარო სივრცეში სულ უფრო მეტად ისმის ქალის ხმა. ბევრ იმ ქვეყანაში, სადაც აღიარებულია ქალის რეპროდუქციული ავტონომია და სხვა უფლებები, ქალები აკონტროლებენ საკუთარ სხეულს, აქვთ აბორტის უფლება, ისევე როგორც სხვა უფლებები.⁶⁹ თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში და ბევრი სხვა ქვეყანის მსგავსად, მიუხედავად ფორმალურად გენდერული თანასწორობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობისა, პრაქტიკულად ქალებს საკუთარი უფლებების რეალიზება უჭირთ, სახელმწიფო არ ახორციელებს მათ დაცვაზე ეფექტურ კონტროლს. ამასთან, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, გენდერული სტერეოტიპები, ჯერ ისევე გამოწვევაა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყნისთვის, ხოლო საქართველოში ეს განსაკუთრებით დიდი პრობლემაა.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც სწორედ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების მონიტორინგს ეხება, უმთავრეს პრობლემებს შორის დასახელებულია აბორტის უფლებით სარგებლობის ხელოვნური ბარიერები,⁷⁰ სერვისის მიღებისას სტიგმისა და დისკრი-

მინაციული დამოკიდებულებისგან თავისუფალი გარემოს არარსებობა,⁷¹ კონტრაცეპტივების არქონა (ფინანსური პრობლემების, განათლების თუ სხვა მიზეზებით)⁷², ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო არც კონტრაცეპტივების ინკლუზიას უზრუნველყოფს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტების ჩამონათვალში.⁷³ სახალხო დამცველი თავის ანაგარიშში გენდერული თანასწორობის მისაღწევად რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის არსებით მნიშვნელობას უსვამს ხაზს.⁷⁴ გენდერული სტერეოტიპების გადასალახად მნიშვნელოვანია საზოგადოების განათლება და ცნობიერების ამაღლება.⁷⁵ საზოგადოებისთვის სექსუალობის შესახებ განათლების მიცემა და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალიზებისთვის ხელშეწყობა საბოლოოდ აისახება ნეონატიციდის სტატისტიკის ვარდნაზე.⁷⁶

ნეონატიციდის დროს ფსიქიკური აშლილობის პრევენციის კრიტიკა

ნეონატიციდის დასჯადობის ისტორიული კონტექსტისა და სამედიცინო დახასიათების ექვქვეშ დაყენების შემდეგ, ხშირად ისმის კრიტიკა მსგავსი პრივილეგირებული ნორმის გა-

სტატია, მე-3 სქოლ., 587; Dvorak, J. J., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 178-179; Wu, M. W. C., მითითებული სტატია, 24-ე სქოლ., 1010

67 Spinelli, M.G., მითითებული წიგნი, მე-3 სქოლ., 140

68 Fazio C. A. & Comito, J. L., მითითებული სტატია, მე-15 სქოლ., 3109-3110; Ayres, S. (2007). Who is to shame narratives of neonaticide. *William & Mary Journal of Women and the Law*, 14(1), 103.

69 ანალიზისთვის იხ. Slate, A. მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 206-207.

70 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში. (2017). ადამიანის უფლებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ჭრილში: ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება. 10-135; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (2019). სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლე-

ბები: ეროვნული შეფასება, 10-11.

71 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (2019). მითითებული კვლევა, 70-ე სქოლ., 9.

72 იქვე. 8-9.

73 იქვე. 7.

74 იქვე. აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ადეკვატური ჯანდაცვის სისტემაა, ქალთა ჯანდაცვაზე მეტად ფოკუსირების მნიშვნელობაზე ხაზგასმა სხვადასხვა კვლევებში, რაც უმნიშვნელოვანესია ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის დასაცავად. იხ. Amon, S., Putkonen, H., Weizmann-Henelius, G., Almiron, M. P., Formann, A. K., Voracek, M., Eronen M., Yourstone, J., Friedrich, M., Klier, C. M. მითითებული კვლევა, მე-19 სქოლ., 173.

75 Slate, A. მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 221.

76 იქვე. 207, 224. სექსუალობის შესახებ განათლებაზე, მათ შორის, სკოლებში ამ სახის განათლების მნიშვნელობაზე ხაზგასმა იმ რეკომენდაციებში, რომლებიც შემუშავდა ლიეტუვაში, ავსტრია-სა და ფინეთში ჩატარებულ კვლევებში, რომელთა მიზანი ნეონატიციდის გამომწვევი მიზეზების გამოვლენა იყო. იხ. Martinkiene, V., & Dervinyte – Bongarzoni, A. მითითებული კვლევა, 29-ე სქოლ., 1-1; Amon, S., Putkonen, H., Weizmann-Henelius, G., Almiron, M. P., Formann, A. K., Voracek, M., Eronen M., Yourstone, J., Friedrich, M., Klier, C. M. მითითებული კვლევა, მე-19 სქოლ., 173.

მართლებასთან მიმართებით.⁷⁷ მეცნიერების ნაწილი თვლის, რომ ნორმის ამ ფორმით არსებობა, რომელიც ყოველგვარი ინდივიდუალური შეფასების გარეშე, ავტომატურად ვრცელდება „ჩვილის მკვლელ დედაზე“, დისკრიმინაციულია ბავშვის ასაკის ნიშნით.⁷⁸ ის, რომ ნორმა დისკრიმინაციულია და არ შეესაბამება გაცხადებულ მიზანს (რომ თითქოს ქალის შეზღუდული ბრალუნარიანობა ამცირებს ბრალს), ამის საილუსტრაციოდ მოჰყავთ შემდეგი მაგალითი: დედა კლავს 24 საათის ბავშვს და ასევე, მის 1 წლის ძმას, პირველის მიმართ ისტება მსუბუქი ნორმით (მაქსიმუმ 5 წლამდე), ხოლო მეორე შვილის მიმართ გაცილებით მკაცრი სასჯელით.⁷⁹ მართლაც, თუ ქალი ამ დროს შეზღუდული ბრალუნარიანობის მდგომარეობაშია, რატომ არ მსუბუქდება ამ მდგომარეობით ბრალი ორივე უმართლობისთვის? სწორედ მსგავს მაგალითებში კარგად ჩანს ამ ნორმის მიღების ნამდვილი განზრახვა. სხვა მაგალითიც კარგად დაგვანახებს კონცეფციის სიყალბეს, რომელსაც ნორმის გამართლება ემყარება. ვთქვათ, მშობიარობის შემდეგ, ქალი კლავს სხვის ახალშობილს,⁸⁰ ამ ნორმით ვერ ისარგებლებს, რადგან სსკ-ის 112-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტი „მკვლელის შვილი“ უნდა იყოს. აღნიშნულიც იმაზე მიუთითებს, რომ მსგავსი პრივილეგირებული ნორმების მიღების მიზეზი არ ყოფილა ქალის ფსიქიკური აშლილობა. რადგან თუ მეცნიერები იმაზე თანხმდებიან, რომ მშობიარობა per se ამცირებს ქალის შერაცხვანარიანობას, მაშინ ბრალი უნდა მცირდებოდეს იმავე პერიოდში ჩადენილ სხვა უმართლობებთან მიმართებითაც.

მეცნიერების აზრით, დანაშაულის სამედიცინო ახსნა კანონმდებლის მხრიდან სხვა დანაშაულებისთვის იგივე გამომწვევი (სოციო-ეკონომიკური) მიზეზებით ბრალის შემსუბუქებისთვის თავის არიდება იყო, ასევე, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, გენდერული სტერეოტიპებით ხსნიან მსავსი ნორმის არსებობას.⁸¹

ახლა რაც შეეხება საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ნეონატიციდის შემადგენლობის უფრო დეტალურ დახასიათებას. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ნეონატიციდი შეზღუდული ბრალუნარიანობის სპეციალურ შემთხვევადაა მიჩნეული. სასჯელის შემსუბუქება ბიოლოგიზმით არის ახსნილი.

როგორც სწორადაა აღნიშნული, ეს დანაშაული მრავალმხრივ განსაკუთრებულია.⁸² სპეციალურია როგორც ქმედების სუბიექტი (დედა), ისე ობიექტი (ახალშობილი).

ნეონატიციდის აუცილებელ ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს ქმედების ჩადენის დროც, მკვლელობა შეიძლება მოხდეს მშობიარობისას ან მალევე მშობიარობის შემდეგ. სსკ-ის 112-ე მუხლში კონკრეტულ დროზე არაფერი წერია, თუმცა სიტყვა „უმაღვე“ თავისთავად მშობიარობიდან უმოკლეს დროს უნდა გულისხმობდეს. დროის განსაზღვრასთან დაკავშირებითაც ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში ერთიანი აზრი არაა. დომინანტი აზრით, ეს 24 საათია, სხვა მოსაზრებებით კი, დრო ზუსტად არ უნდა განისაზღვროს.⁸³ კიდევ ერთ შეხედულებად შესაძლოა საათნახევარი მივიჩნიოთ, რომელსაც ამ ნორმის განმარტებისთვის ძველი გერმანული მოდელის ინტერპრეტაციას იშველიებენ.⁸⁴ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არ მოიძებნა ამ ელემენტის სამოსამართლო ინტერპრეტაცია. სასამართლოები არ განმარტავენ დაბადებიდან მაქსიმუმ რამდენ წუთში თუ საათში უნდა მოხდეს მკვლელობა, რომ ქმედება სსკ-ის 112-ე მუხლთან მოვიდეს შესაბამისობაში, სასამართლო მხოლოდ საკანონმდებლო ტერმინის გამოყენებას ჯერდება, რომ უმაღლესად მკვლელობა.⁸⁵ ქართული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მშობიარობისთანავე მალევე ჩადენილი ქმედებებია შეფასებული სსკ-ის 112-ე მუხლით, რაც ქართულ და სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის დოქტრინაში ნეონატიციდის

77 Holland, W.H., მითითებული წიგნი, 38-ე სქოლ., 131-132.
 78 Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 418-419; Mair, S., მითითებული სტატია, 54-ე სქოლ., 255-256.
 79 Mair, S., მითითებული სტატია, 54-ე სქოლ., 255. Slate, A. მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 218.
 80 Mair, S., მითითებული სტატია, 54-ე სქოლ., 253
 81 Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 430. კულტურაზე მითითებით ნეონატიციდის გამართლების კრიტიკისთვის იხ. Wu, M. W. C. მითითებული სტატია, 24-ე სქოლ., 975-1021; Krüger, P. მითითებული სტატია, მე-18 სქოლ., 196; Slate, A.

მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 212-213.
 82 Loughnan, A., მითითებული სტატია, მე-2 სქოლ., 687.
 83 ლეკვიშვილი, მ., თოდუა, ნ. და მამულაშვილი, გ. (2019). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I. (მეშვიდე გამოცემა). თბილისი: მერიდიანი, 89.
 84 ტურავა, მ., მითითებული წიგნი, მე-7 სქოლ., 78.
 85 რუთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, ოქტომბერი 2015; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს # 1/612-16 განაჩენი, 20 დეკემბერი, 2016; სუსგ-ის #2კ-211აპ.-05 განაჩენი.

ელემენტი – „უმალვე“, 24 საათით განმარტებას⁸⁶ უფრო შეესაბამება.

ამდენად, ქართული მოდელი ნეონატიციდისა და მისი პრივილეგირებულ ნორმად არსებობის რაციონალიზება ძალიან გავს ზემოთ განხილული ქვეყნების სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმულ მოძველებულ მოსაზრებებს, რაც თანამედროვე გაგებას არ შეესაბამება.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არ მოიძებნა სსკ-ის 112-ე მუხლით გასამართლების საქმეში არცერთი გადაწყვეტილება, სადაც მოსამართლე ინდივიდუალურად შეაფასებდა ბრალის ხარისხს და ისე გადაწყვეტთა ნორმის გამოყენებას. ეს მიდგომა ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაშიც მხარდაჭერილია, რომ ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმება არაა საჭირო.⁸⁷

მშობიარობის შემდეგომ ქალს შესაძლოა განუვითარდეს სხვადასხვა სახის დეპრესია და ფსიქიკური აშლილობა. მაგალითად, ბები ბლუზი,⁸⁸ ასევე პოსტნატალური დეპრესია (Postpartum depression).⁸⁹ პოსტნატალური აშლილობის მესამე ყველაზე მძიმე ფორმა კი პოსტნატალური ფსიქოზია (Postpartum psychosis).⁹⁰ ის საერთოდ ართმევს ადამიანს ფაქტის სწორად შეფასებისა და მასზე კონტროლის შესაძლებლობას,⁹¹ ამდენად ის ბრალუნარიანობას გამოირიცხავს განსხვავებით პირველი ორისგან.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფსიქიკური აშლილობები თავს იჩენენ არა უმალვე, ე.ი მშობიარობიდან 24 საათში, არამედ

უფრო მოგვიანებით.⁹² თუმცა არაა გამორიცხული ფსიქიკური აშლილობა თან ახლდეს ნეონატიციდს, ეს იშვიათად ხდება და კავშირში არაა მშობიარობასთან ან ჰორმონალურ ცვლილებებთან, მის ინდიკატორად სხვა ფსიქიკურ აშლილობას და პრესტორიებს უთითებენ მკვლევარები.⁹³ სიმპტომებზე სწრაფი რეაგირება და მკურნალობაა საჭირო, რომ დაიცვან დედაც და ბავშვიც.⁹⁴

ამდენად, პოსტნატალური სამი ძირითადი კატეგორიის ფსიქიკური აშლილობის დახასიათებით შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც მშობიარობიდან დიდი ხნის შემდეგ ვლინდებიან, ვერ გაამართლებენ ნეონატიციდის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმის არსებობას.⁹⁵ ამასთან ფსიქიკური აშლილობას რომ *per se* მშობიარობა ანდა ლაქტაცია იწვევდეს, ამის უტყუარი მტკიცებულება არ არსებობს, მათზე დიდწილად სოციალური, ფსიქოლოგიური ფაქტორები მოქმედებენ,⁹⁶ რაც ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში საგულდაგულოდ უნდა შეფასდეს და ასე გადაწყდეს სამართლებრივადაც.

დეპრესია, ხასიათის ცვლილება და ფსიქოზი აუცილებლად გენდერთან არაა კავშირში, ის შეიძლება ბავშვის მამასაც დაემართოს (მითუმეტეს თანამედროვე პერიოდში, გასულ საუკუნეებთან შედარებით უფრო მეტი მამა იღებს მონაწილეობას ჩვილის მოვლაში), ამიტომ მეცნიერებს უსამართლოდ მიაჩნიათ ამ სახის გენდერულად სპეციფიური დელიქტის არსებობა.⁹⁷ ამასთან კვლევები ცხადყოფს, რომ იგივე დეპრესიისა და ფსიქოზის მქონე მამები მკაცრად ისჯებიან დედებისგან განსხვავებით.⁹⁸

86 გამყრელიძე ო., მითითებული კომენტარი, მე-6 სქოლ., 71; ჯიშკარიანი, ბ., მითითებული კომენტარი, მე-6 სქოლ., 64; Stasiūnienė, J., Justickis, V., & Jasiulaitis, A., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 93.
87 ჯიშკარიანი, ბ., მითითებული კომენტარი, მე-6 სქოლ., 65.
88 Anand, S. (2010). Rationalizing infanticide: medico-legal assessment of the criminal code's child homicide offence. *Alberta Law Review*, 47(3), 720; Vallillee, E. (2015). Deconstructing infanticide. *Western Journal of Legal Studies*, 5(4), 8; Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 426-427.
89 Anand, S., მითითებული სტატია, 88-ე სქოლ., 720; Porter, T. & Gavin, H., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 102; Vallillee, E., მითითებული სტატია, 88-ე სქოლ., 8-9; Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 427.
90 Anand, S., მითითებული სტატია, 88-ე სქოლ., 720; Vallillee, E., მითითებული სტატია, 88-ე სქოლ., 9.
91 Anand, S., მითითებული სტატია, 88-ე სქოლ., 721; Porter, T. & Gavin, H., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 102.

92 Anand, S., მითითებული სტატია, 88-ე სქოლ., 721; Friedman, S., Cavney, J., & Resnick, P. J., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 590, 593; Porter, T. & Gavin, H., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 102.
93 Porter, T. & Gavin, H., მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 102-103; Mesut, I. (2018). Postpartum Psychosis. *Eastern Journal of Medicine*, vol. 23(1), 61.
94 იქვე. 64.
95 Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 427.
96 Anand, S., მითითებული სტატია, 88-ე სქოლ., 722; Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 427; Slate, A. მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 212.
97 Slate, A. მითითებული სტატია, მე-10 სქოლ., 218; Friedman, S., Cavney, J., & Resnick, P. J., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 586; Zaretsky, R. S., მითითებული სტატია, მე-11 სქოლ., 418-419, 430; Mair, S., მითითებული სტატია, 54-ე სქოლ., 255.
98 Friedman, S., Cavney, J., & Resnick, P. J., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 593-594; Hogan, M. C., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 275.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 112-ე მუხლი ავტომატურად გამოიყენება მაშინ, როდესაც ახალშობილს დედა დაბადებიდან მალევე მოკლავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალის ხარისხის ინდივიდუალურ შეფასებას არ ითხოვს სასამართლო.⁹⁹ ნორმის ამ ფორმით არსებობა პრობლემურია, ის შეიძლება გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, სადაც ბრალის ხარისხი მაღალია და არ იმსახურებდეს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას, და პირიქით, არ გავრცელდეს შემთხვევაზე მართო იმის გამო, რომ მკვლელობა მშობიარობიდან მალევე არ მომხდარა, მაგრამ ადგილი ჰქონდა პოსტნატალურ დეპრესიას, რამაც შეამცირა შერაცხვაუნარიანობა. ქართულ მართლმსაჯულებაში ასეა, თუკი მოკლული ბავშვი თვეებისაა, სსკ-ის 112-ე მუხლის გამოყენება არ ხდება, მაგრამ არც პოსტნატალური დეპრესიის შემთხვევების პრაქტიკაა დანერგილი, რაც აუცილებლად გამოსასწორებელია.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ გასაზიარებელია იმ მეცნიერთა შეხედულება, რომლებიც დასახელებული ნორმის ამ ფორმით არსებობას დისკრიმინაციულს უწოდებენ და მის გაუქმებას უჭერენ მხარს.¹⁰⁰

ამდენად, უმჯობესია, თუკი სსკ-ის 112-ე მუ-

99 რუთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, ოქტომბერი, 2015; ზუგდიდის რაინული სასამართლოს # 1/612-16 განაჩენი, 20 დეკემბერი, 2016; სუსგ-ის #2კ-211აპ.-05 განაჩენი. მსგავსი მიდგომა იხილეთ ასევე ანალიზისთვის იხ. Ashworth, A., & Horder, J. (2013). *Principles of Criminal Law*. (7th edition). Oxford: Oxford University Press, 283; Ormerod, D., & Laird, K. (2018). *Smith, Hogan and Ormerod's Criminal Law: Cases and Materials*. (15th edition). Oxford: Oxford University Press, 633; Kyd, S., Elliott, T., & Walters, M. A. (2017). *Clarkson & Keating: Criminal Law: Text and Materials*. (9th edition). London: Sweet & Maxwell, 1091; Hogan, M. C., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 273-274.

100 შეზღუდული ბრალუნარიანობის ზოგადი შემამსუბუქებელი გარემოების გავრცელების მხარდამჭერი პოზიციისთვის იხ. Friedman, S., Cavney, J., & Resnick, P. J., მითითებული სტატია, მე-3 სქოლ., 594-596; Holland, W.H., მითითებული წიგნი, 38-ე სქოლ., 132. აღსანიშნავია, რომ სამართლის რეფორმისთვის ინფანტიციდის გაუქმება და მისი შეზღუდული ბრალუნარიანობის ზოგადი ნორმით ჩანაცვლება იქნა შეთავაზებული ინგლისის სარეფორმო კომისიისთვის, რაც კომისიამ არ გაიზიარა იმ არგუმენტით, რომ ზოგადი ნორმა ინფანტიციდის ყველა შემთხვევას არ ფარავდა. ანალიზისთვის იხ. Ormerod, D., & Laird, K., მითითებული წიგნი, სქოლ., მე-99 სქოლ., 633; Kyd, S., Elliott, T., & Walters, M. A., მითითებული წიგნი, 99-ე სქოლ., 1093; Ashworth, A. 2011. United Kingdom, in Heller, K. J. & Dubber, D. M. (eds), *Handbook of comparative criminal law*, Stanford: Stanford University Press, 549.

ხლი გაუქმდება და ყოველი კონკრეტული შემთხვევის დასჯა მოხდება ინდივიდუალურად¹⁰¹, ბრალის ხარისხის შესაბამისად, სსკ-ის ზოგადი ნორმების გამოყენებით (მუხ. 35) ან იქ, სადაც ბრალი სრულად უნდა გამოირიცხოს, პირს სსკ-ის 34-ე მუხლით გაათავისუფლებენ პასუხისმგებლობისგან. ამ ცვლილების პარალელურად, აუცილებლად უნდა მოხდეს სხვა ცვლილებებიც, კერძოდ, სსკ-ის 35-ე მუხლის გამოყენების საფუძველი პოსტნატალური აშლილობებთან დაკავშირებით, საპროცესო შეთანხმების გარეშე მოსამართლეს უნდა აძლევდეს სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას, ამასთან ნორმა კატეგორიული უნდა იყოს და არა დისპოზიციური. დაცვის მხარე უნდა გააქტიურდეს და გაზარდოს ასეთ საქმეებში ექსპერტი მონაწილეობის ჩართულობა, რაც გახდება მსუბუქი სასჯელის გამოყენების საფუძველი. ამ თვალსაზრისით სამაგალითოდ უთითებენ ნიუ-იორკის სასამართლო პრაქტიკას, სადაც, პოსტნატალური აშლილობა (სიმძმის მიხედვით) წარმოადგენს ბრალის შემსუბუქების ან გამორიცხვის საფუძველს.¹⁰² საქართველოში ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, მან უნდა უზრუნველყოს ექსპერტების გადამზადება, მათი ცოდნის ამაღლება და გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი სერვისებისა და გარემოს შექმნა, რაც დღეს ძალიან დიდი პრობლემაა საქართველოში.

დასკვნა

ნეონატიციდის ისტორიულ-კულტურულ და სოციო-ეკონომიკურ ქრილში განხილვამ აჩ-

101 ყოველ საქმეში ინდივიდუალური შეფასების მხარდამჭერი მოსაზრებისთვის იხ. Hogan, M. C., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 295; Dvorak, J. J., მითითებული სტატია, მე-4 სქოლ., 195.

102 Walker, A. J. (2006). Application of the insanity defense to postpartum disorder-driven infanticide in the united states: look toward the enactment of an infanticide act. *University of Maryland Law Journal of Race, Religion, Gender and Class*, 6(1), 214. აღსანიშნავია, რომ პოსტნატალური ფსიქიკური აშლილობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ კლინიკურ დიაგნოსტიკას ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის სახელმძღვანელოში, არამედ ის შიზოფრენიისა და სხვა ფსიქიკური აშლილობების სექციაშია შეტანილი. იხ. American Psychiatric Association. (2013). *Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders DSM-5th*. (5th ed.). Washington, DC: American Psychiatric Publishing. ანალიზისთვის იხ. Mesut, I. (2018). Postpartum Psychosis. *Eastern Journal of Medicine*, vol. 23(1), 60.

ვენა, რომ მისი პრივილეგირებულ მკვლელობად კრიმინალიზების გამართლება ფსიქიკური აშლილობის პრეზუმფციას ემყარება, რაც მეცნიერულად per se არ დასტურდება. სინამდვილეში მისი გამომწვევი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობაში და კულტურულ კონტექსტებში იმალება. ნეონატიციდის სამედიცინო ახსნა პატრიარქალური ღირებულებების, გენდერის ნიშნით ჩაგვრის და ქალის მიმართ არსებული სტერეოტიპების გამოძახილია, რომელმაც ისტორიულად ის ფუნქცია შეასრულა, რომ „მკვლელი დედები“ მსუბუქად ისჯებოდნენ იმ დანაშაულისთვის, რომელსაც უთანასწორო ბრძოლაში მართო დარჩენილები ჩადიოდნენ, თუმცა სახელმწიფო არაფერს აკეთებდა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად. დანაშაულის გამომწვევი რეალური მიზეზების მოგვარება არ შედიოდა სახელმწიფოს დღის წესრიგში, ამიტომ პრობლემის მიჩქმალვა სპეციალური ნორმის გამართლებით მოხდა, რომელსაც საფუძვლად კვაზი მეცნიერება დაედო. ნეონატიციდის სპეციალური ნორმა, რომლის ერთადერთი მიზანი დედის მიმართ ლმობიერი პოლიტიკის გატარებაა, ვერ ასრულებს პრევენციულ ფუნქციას. ნეონატიციდისთვის გასამართლებული ქალების მიმართ, როგორც წესი, პირობითი მსჯავრი გამოიყენება. ამდენად, სახელმწიფო სათანადოდ არ იცავს ბავშვის სიცოცხლეს.

დღეს აბორტის უფლება საქართველოში აღიარებულია კანონმდებლობით, დაცულია ქალის რეპროდუქციული ავტონომია და საჯარო სივრცეშიც სულ მეტად ისმის ქალის ხმა. დრო იცვლება. მაგრამ აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოში ქალთა უფლებების რეალიზების პრაქტიკული პრობლემები ისევ დიდი გამოწვევაა, რის შესახებაც სახალხო დამცველსაც არაერთხელ მიუთითებია თავის ანაგრიშებში. საქართველოში კვლავ ფესვგამდგარია მკაცრი რელიგიური, კონსერვატიული და პატრიარქალური აზროვნება, რაც ძალიან ბევრი ქალის ცხოვრებაზე, მის ნამდვილ არჩევანზე უშუალო გავლენას ახდენს. საქართველოში სოციალური და ეკონომიკური პრობლემები კვლავ დიდი პრობლემაა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული კონტექსტი ფაქტობრივად ძალიან ჰგავს ძველ პერიოდს, რაშიც აღმოცენდა ნეონატიციდის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმა, პრობლემების „მოგვარების“ სხვა სამართლიანი გზებია მოსაძებნი. ამიტომ, პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშებში მითითებუ-

ლი რეკომენდაციების შესაბამისად, უზრუნველყოს ქალების (გოგონების) გაძლიერება, მათი უფლებების დაცვა და მასზე მონიტორინგი, ამის პარალელურად კი შეუძლია იზრუნოს სსკ-ის 112-ე მუხლის ამოღებაზე. ცვლილება აუცილებელია, მითუმეტეს, რომ მოქმედ სსკ-ში სხვა არაერთი საშუალებაა ბრალის ხარისხის გათვალისწინებით სამართლიანი სასჯელის დანიშვნის ან მისგან სრულად გათავისუფლების, ამ ნორმის „გამართლების“ აღარანაირი საფუძველი აღარ იქნება და დროა, თავისი სახელი დერქვას ყველაფერს.

მაშასადამე, სსკ-ის 112-ე მუხლი უნდა გაუქმდეს, ის დისკრიმინაციულია ბავშვის ასაკისა და გენდერის ნიშნით, ამყარებს ქალების მიმართ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას, რადგან კანონმდებელი ქალის ბიოლოგიურ განსხვავებულობასთან აკავშირებს მკვლელობას და მის ნაწილობრივ პატიებას ამით ამართლებს, მაშინ როცა მშობიარობა/ლაქტაციას და ქალის ფსიქიკურ აშლილობას შორის ასეთი უშუალო კავშირი თანამედროვე მედიცინით არ დასტურდება. ნეონატიციდის სტერეოტიპული მედიკალიზების ნაცვლად სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მისი გამომწვევი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების და უთანასწორობის აღმოფხვრისთვის. ხოლო ინდივიდუალურ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობა ხდება სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობის გამო, ზოგადი ნორმებით (მუხ. 34 და 35), ბრალის ინდივიდუალური სამართლებრივი შეფასებით მოხდეს პირის გასამართლება (გენდერის მიუხედავად) ხოლო იქ, სადაც ბრალუუნარობაა, პირი პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდეს.